ლაღი

№ 20
(11 169)

14 – 17 მარტი, 1998 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში II წრე

პირველი ჯგუფი XVI ტური

განახლდა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი პირველი ჯგუფის გუნდებს შორის – გაიმართა მეორე წრის პირველი ერთი მატჩი თბილისის „ლოკომოტივსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ შორის. ტურის დანარჩენი შეხვედრები შედგება დღეს. განრიგი ასეთია:

უნივერსიტეტი (თბილისი) – კოლხეთი-1913 (ფოთი)
გურია (ლანჩხუთი) – მერანი-91 (თბილისი)
რუსთავი – დინამო (თბილისი)
სამგურალი (წყალტუბო) – დილა (გორი)
ვიტ-ჯორჯია (თბილისი) – მარგვეთი (ზესტაფონი)
მაღაროელი (ჭიათურა) – ოდიში (ზუგდიდი)
სიონი (ბოლნისი) – დინამო (ბათუმი)

გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ მარტში საქართველოს პირველობის თამაშები 15 საათზე იწყება.

საევროპოდ ვემზადებით, რერო...

თბილისის ლოკომოტივის სტადიონი, 13 მარტი.
ლოკომოტივი — ტორპედო (ქუთაისი) 0-1

ლოკომოტივი: **ვოლკოვი, ამბიძე, ყაველაშვილი, ბარნოვი, ქველაძე (კოტორაშვილი), არჩვაძე, გ. კვეტენაძე, ასპინძელაშვილი (გაგუა), დაუშვილი, ვასაძე (ხუცაშვილი), დათვაძე.**
ტორპედო: **ასლანაძე, იონანიძე (შენგელია), ჩხაბერიძე, ვაშაკიძე, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, კვეტენაძე, შ. ხუჯაძე, დ. ჯანაშია (მეტრეველი), გ. მეგრელაძე (ვაჩიბერაძე), ჩხაიძე.**
მსაჯი: **ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)**
გააფრთხილეს: **ხუჯაძე.**
გოლი: **ჯანაშია (39 წთ.)**

ამ შეხვედრას მეორე წრის მაყორულ პროლოგად ნაღდად ვერ მოვნათლავთ, რადგან მინდორზე მხოლოდ ერთი გუნდი „ჩანდა“. და მთელი 90 წუთი თამაშიც მისი კარნახით მიმდინარეობდა. არადა, „ლოკომოტივისაგან“ უველანი მეტს ველოდით — თემურ მახარაძემ პირველი წრის შუაგულში ჩაიბარა გუნდი და მყისვე დაატყო თავისი ხელი, მაგრამ გუშინდელი „ლოკომოტივი“ ნამდვილად არ გავდა ამბიციურ და შემართულ გუნდს. განსაკუთრებით მოიკოჭლებდა მათი დაცვის ხაზი. ნახევარდაცვაში კი მხოლოდ ბარნოვის ჯიგრიანი თამაშია აღსანიშნავი, თუმცა ეს ფეხბურთელი ხომ უფრო ჩამშლელია, ვიდრე შემოქმედი და მართლაც, რკინიგზელთა გუნდმა ერთი ხეირიანი, გააზრებული, მწვავე იერიშის გათამაშებაც ვერ შეძლო. თუმცა პირველი სახიფათო მომენტი სწორედ მასპინძლებმა შექმნეს, როცა ამბიძის ჩამოწოდებულ კუთხურს არავინ გამოეხმაურა ქუთათურთა კარის ძელის გარდა. სტუმართა უპირატესობა კი თანდათან იკვეთებოდა, კახა კვეტენაძე მშვენივრად „იჭერდა“ ბურთს და დირიჟორობდა თანაგუნდელებს. რის გამოც სულ უფრო და უფრო მეტი „ბზარები“ ჩნდებოდა ლოკომოტიველთა დაცვაში, რაც 35-ე წუთზე მშვენივრად გამოიყენა ჯანაშიამ — მოედნის ცენტრში ერთბაშად რამდენიმე მცველს დაუსხლტა, გზად კიდევ ერთიც მიაყოლა და ვოლკოვსაც არანაირი შანსი არ დაუტოვა. თემურ მახარაძემ საპასუხოდ ორი ცვლილება მოახდინა (ქველაძე, ასპინძელაშვილი), მაგრამ ამან მობილურობა ვერ შემატა. „ლოკომოტივის“ დაცვას — მეორე ტაიმის პირველივე წუთებზე ქუთაისელებმა ზედიზედ რამდენიმე მწვავე იერიში მიიტანეს ვოლკოვის კართან. ანგარიშის გაზრდა შეეძლო ჯერ კვეტენაძეს, შემდეგ იონანიძის თავურს ვოლკოვმა გადაუღობა გზა. მატჩის უველაზე ლამაზი ეპიზოდი ხუჯაძის დინამიკაში შესრულებული გრძელი სოლო რეიდი გახლდათ, რომელიც უკვე ვოლკოვის კარის ძელმა გაანეიტრალა. რკინიგზელთა გუნდმა კი უველაფერ ამას ფაქტობრივად ვერაფერი დაუპირისპირა. ეგ იყო დაუშვილმა გამოიღო ფხა ერთი-ორჯერ.

ქუთათურებს კი, რომელთაც ლოკომოტივის სტადიონზეც თავიანთი ერთგული გულშემატკივრები უმაგრებდნენ გულს, მზერა ალბათ ევროპისაკენ აქვთ მიმართული...

ირაკლი შენგელია

სურათებზე: „ლოკომოტივი“ — „ტორპედო“, მომენტები განვლილი მატჩიდან. ალეკსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
დინამო (თბ)	15	12	2	1	40-6	33
დინამო (ბთ.)	15	9	5	1	30-10	32
ოდიში	15	10	1	4	23-21	31
ტორპედო	16	7	6	3	25-16	27
უნივერსიტეტი	15	7	4	4	21-11	25
კოლხეთი-1913	15	7	3	5	31-16	24
ვიტ-ჯორჯია	15	5	6	4	17-13	21
ლოკომოტივი	16	5	5	6	17-24	20
მერანი-91	15	7	3	5	21-17	19
დილა	15	6	1	8	15-23	19
რუსთავი	15	5	0	10	15-29	15
სამგურალი	15	4	2	9	17-32	14
გურია	15	3	4	8	18-30	13
სიონი	15	4	5	6	24-19	12
მაღაროელი	15	3	2	10	12-33	11
მარგვეთი	15	1	3	11	12-38	6

მილოცვა



საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ ცენტრალური საბჭო დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავს ლეგენდარულ ფალავანს, თავისუფალ ჭიდაობაში ორგზის ოლიმპიურ, ოთხგზის მსოფლიო, სამგზის ევროპის, სამგზის სსრ კავშირისა და ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონს, მსოფლიო და სსრკ თასის მსოფლიო, სამბოში მსოფლიო ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ***ლევან თედიაშვილს.***

მაია მიუახლოვდა ლიდერს, რა მოხდება ბოლო პარტიაში?

ბელგრადში მიმდინარე 8 მარტისადმი მიძღვნილ ქალთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე ბოლო ტურის წინ ლიდერობს შვედი პია კრამლინგი – 5,5 (8-დან), II-III ადგილებს 5-5 ქულით იყოფენ უკრაინელი ჟუკოვა და მაია ჩიბურდანიძე, ისინი თითო ქულით უსწრებენ უახლოეს მდევრებს. ბოლო ტურში კრამლინგი ბულგარელ სტეპანოვას ხვდება, მაიას მეტოქე კი ალისა მარიჩი (იუგოსლავია) იქნება. როგორც ხედავთ, ყველაფერი ფინიშთან გაირკვევა.

* * *

კიშინიოვში ქალთა საერთაშორისო ტურნირზე დამთავრდა I წრე. წინაა რუმინელი პეპტონი (4 ქულა – 5 შესაძლებლიდან), მეორე ადგილზე მიდის რუსეთელი კოვალოვსკაია, ნონა გაფრინდაშვილმა ერთი პარტია მოიგო, 2 წააგო, 2 ყაიმით დაასრულა და ჯერჯერობით V ადგილზეა.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირი

ამ ავტორიტეტულ ტურნირში საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს ტარიელ მელელაშვილს ხვდა ოქროს მედალი, დანარჩენებმა – გიორგი ჯინჭველაშვილმა, ემზარ მახარაძემ, ზაზა სილაგაძემ და მირიან გიორგაძემ მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს.



მილოცვა

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და მძლეოსნობის ფედერაცია დაბადებიდან 85 წლისთავს ულოცავენ ვეტერან მძლეოსანს, ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის უოფილ მოადგილეს, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტის უოფილ რექტორს, დარგის დამსახურებულ მოღვაწეს *ვლადიმერ სამსონაძეს*

დაჯილდოება

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა ღვაწლმოსილი მუშაკი *ვლადიმერ სამსონაძე* საპატიო სიგელით დაჯილდოვა.

კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

პლეი-ოფებიც კარს მოგვადგა



საქართველოში კალათბურთის მოჯარულებს საინტერესო ხანა დაუდგათ — 22 მარტიდან პლეი-ოფების სისტემით მეშვიდე ეროვნული ჩემპიონატის მედლებისათვის ბრძოლას პირველ რვა ადგილზე გასული გუნდები გააგრძელებენ: „აზოტი“ შეხვდება „მაკაბის“, „დინამო-1“ — „შევარდენს“, „ვითა“ — ასკს, თსუ — სდასუ-ს. სპეციალისტთა აზრით, ფინალში გასვლის ყველაზე რეალური შანსები აქვთ რუსთავის „აზოტს“ (ამ გუნდს ჯაფარიძისა და გოგობერიშვილის სახით ორი ყოფილი ლეგიონერი ჰყავს) და თბილისის „დინამოს“ (მისი 5 კალათბურთელი ეროვნული ნაკრების კანდიდატია).

ქეცბაიას გუნდში ძველი მეტოქე მოუვიდა

მაშ ასე, თემურ ქეცბაიას „ნიუკასლში“ ძველი მეტოქე მოუვიდა, საქმე ეხება ინგლისური კლუბის ახალ შენაძენს – საბერძნეთის „ოლიმპიაკოსიდან“ გადმობირებულ მცველ ნიკოს დაბიზასს. 21 წლის ბერძენ მოთამაშეს ახალ გუნდში პირველივე ვარჯიშზე გულთბილად მიესალმა ქართველი ლეგიონერი: „ეს ბიჭი დიდ ფეხბურთს ითამაშებს, საბერძნეთში ერთმანეთის პირისპირ რომ ვხვდებოდით, გასაქანს არ მაძლევდა, ძალიან მჭიდროდ მეთამაშებოდა.“ ამ სიტყვების გამგონე დაბიზასმა თავმდაბლად უპასუხა: „ჩვენს პაექრობაში უმეტესწილად თემური გამოდიოდა გამარჯვებული, ვინაიდან ჩემზე სხარტი და ტექნიკური მოთამაშეა“. სავარაუდოა, რომ ახალწვეული „ნიუკასლის“ შემადგენლობაში ამ თვის ბოლომდე გამოვა, მიიღებს თუ არა ინგლისის კანონებით გათვალისწინებულ სამუშაო ვიზას.

მანამდის კი „ნიუკასლის“ მიერ ჩატარებულ ბოლო შეხვედრაში (ასოციაციის თასი, მეოთხედფინალი) „ბარნსლის“ წინააღმდეგ თემურ ქეცბაიამ კვლავ გამოიჩინა თავი და ლამაზი გოლით დასაბამი მისცა თავისი კლუბის გამარჯვებას. თასის ნახევარფინალში „ნიუკასლის“ მეტოქე იქნება „ქოვენთრისა“ და „შეფილდ იუნაიტედს“ შორის გამარჯვებული (ეს მატჩი 17 მარტს გაიმართება).

სურათზე: **თემურ ქეცბაიამ „ბარნსლისთან“ ანგარიში გახსნა.**

ბილიარდი | გივი კობოსნიძის თასის გათამაშება

აკრძალული ხილის განახლებული გემო

ბილიარდი საბჭოთა ხელისუფლების დროს იყო იატაკქვეშეთში, თორემ ახლა, რამდენიც გინდა იმდენი ითამაშე და, თუ სურვილი გაქვს, შეჯიბრებებიც ჩაატარე. მაშინ, ადრე, ბევრს სურდა ეგემა აკრძალული ხილი, მაგრამ თუ ვინმე ამას, თუნდაც იატაკქვეშეთში, როგორც იტყვიან, მართლაც დაგემოვნებით და მაღალი იჯტატობით ახერხებდა, თბილისელი გივი კობოსნიძე იყო. მისი ბადალი მოთამაშე მთელს - საბჭოეთშიც იშვიათად თუ მოიძებნებოდა.

ამ შესანიშნავი პიროვნების სახელობის გარდამავალი თასის გათამაშება ბილიარდის ფედერაციამ (პრეზიდენტი დავით ალექსიძე) დაადგინა და ამიერიდან იგი ტრადიციული გახდება. პირველ გათამაშებაში (მუშტაიდის ბაღში) კი 16 ვეტერანი მონაწილეობდა. ყველაზე ხანდასძული მოთამაშე 82 წლის აკაკი გუმბერიძე იყო. აღსანიშნავია, რომ გარდამავალი პრიზი სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა დააწესა, რაც უდავოდ მისასალმებელია. სხვა პრიზები კი თავად დააწესა ფედერაციამ.

— ჩვენ ამ პრიზის გათამაშებით, ჯეროვან პატივს მივაგებთ გივი კობოსნიძის ღვაწლს, რაც მომავალ თაობებს ამაგდარ ადამიანთა დაფასების მაგალითად გამოადგებათ — თქვა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ დავით გურგენიძემ.

მომავალი თაობა ვახსენეთ, როგორც დავით ალექსიძემ გვითხრა ფედერაციას სასწავლო-საწვრთნო ცენტრი შეუქმნია, სადაც მოზარდები დაოსტატდებიან, ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად კი ბილიარდის დიდოსტატი თვით გივი კობოსნიძე დაუმტკიცებიათ.

ისევ ზემოხსენებული თასის პირველ გათამაშებას დავუბრუნდეთ. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „საქგზამეცნიერების" გენერალური დირექტორი თამაზ შილაკაძე და ბილიარდის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გია იმერლიშვილი. 2:1 გაიმარჯვა თამაზ შილაკაძემ და გარდამავალი თასიც მას გადაეცა. მე-3-4 ადგილები გაიყვეს ყვარლის ავტოსატრანსპორტო გაერთიანების ინჟინერმა თამაზ (კახელო) ბუჯიაშვილმა და თბილისის ახმეტელის თეატრის მსახიობმა ნუგზარ ხიდურმა.

თ. თომაშვილი

თამაშობს თამაზ შილაკაძე

მცხეთელ მოსწავლეთა დიდი ზეიმი ანუ გზა აღორძინებისაკენ!

ამ შაბათს მოულოდნელად მოელოდნენ მცეთის რაიონის მოსწავლეები. „მხიარული სტარტების" პროგრამით რაიონულ ცენტრში გაიმართება საინტერესო შეჯიბრებები. ღონისძიების აღორძინებას საფუძველი ჩაეყარა მცხეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგის *უშანგი ხარშილაძისა* და კომპლექსური სპორტსკოლის დირექტორის *ივანე რთველიშვილის* თაოსნობით, რამაც რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორების ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰპოვა.

ნაგანო-98 ○ თამაშები და მსაჯობისები

„ლელოს" მკითხველებს ალბათ ახსოვთ, ნაგანოში ზამთრის ოლიმპიადისათვის სამთოსათხილამურო ტრასების მომზადების პერიოდში რა ამბავი დააწიეს ადგილობრივ ხელისუფლებას ბუნების ქომაგებმა. საზოგადოებრიობის ზეწოლა ნაწილობრივ გაითვალისწინეს მაგრამ ტყის ნაწილი მაინც გაიჩეხა. თამაშების წინ ნაგანოს პრეფექტურამ სთხოვა „მეამბოხეებს" ოლიმპიადის დღეებში თავი შეეკავებინათ გამოხდომებისაგან. მაგრამ ის იყო ამოიწურა პროგრამა და ხალხი სტადიონისკენ მიეშურებოდა ოლიმპიადის საზეიმოდ დახურვის ცერემონიის სახილველად, რომ ნაგანოს ცენტრალურ ქუჩაზე კვლავ გამოჩნდნენ „მწვანეები". ეს ფოტოც სწორედ იმ დღეს გადაიღო „ლელოს" სპეციალურმა კორესპონდენტმა.

რეპლიკა

სიჯიუტე... გურჯაანულად

ძველი სისტემის დანგრევის შემდეგ, საქართველოში 1997 წელს პირველად დაიწყეს სპორტის სფეროში სტატისტიკური ანგარიშების შედგენა. ახლა, როცა რეგიონებიდან ანგარიშების წარდგენის ვადები ამოიწურა, გადავწყვიტეთ ჩაგვეხედა სტატისტიკის სარკეში, მაგრამ...

— სამწუხაროდ, საერთო შედეგები არ დაგვჯამებია, რადგან, მრავალგზის შეხსენების მიუხედავად, გურჯაანს დღემდე არ წარმოუდგენია ანგარიში — გვითხრა საქართველოს სპორტის დეპარტამენტის რეგიონებთან მუშაობისა და კადრების სამმართველოს უფროსმა ნარგიზა მესხმა.

თურმე დეპარტამენტმა ვის აღარ მიაწვდინა ხმა, თვით რაიონის გამგებელსაც კი — როგორმე ანგარიში წარმოადგინეთო, მაგრამ, ამაოდ, გურჯაანი სდუმს. რაიონის სპორტკომიტეტს არანაირი წინაპირობა და ულტიმატუმი არ წამოუყენებია სტატისტიკის მოწოდების სანაცვლოდ, არ სურს წარმოადგინოს და... მორჩა. რატომ? აი, რა არის საკითხავი. იქნებ განმკითხავი არავინაა და იმიტომ. არადა, დოკუმენტაცია, თურმე, 27 იანვარს უნდა წარედგინათ. იქნებ გურჯაანში სპორტი საერთოდ ჩამკვდარია და ასაღრიცხავი არაფერია, ისე, ხმები კი ნამდვილად დადის — მხოლოდ ფეხბურთზე არიან გადაგებულებიო.

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში, ცხადია, გულხელდაკრეფილნი არ სხედან, მაგრამ მოლოდინს და მოთმინებასაც ხომ უნდა ჰქონდეს საზღვარი...



სპორტი და სახელმწიფო

ვაბრძელებთ პუბლიკაციას (დასაწყისი იხ. „ლელო", №19) იმის თაობაზე თუ მსოფლიოში სპორტის სფეროში მმართველობის რა ფორმებია დანერგილი და როგორია მისი სახელმწიფო სტატუსი, დამოუკიდებელი რგოლია იგი სახელმწიფოში თუ დაქვემდებარებული.

დანია, ესტონეთი, ფინეთი, საბერძნეთი — კულტურის სამინისტრო.

საფრანგეთი — ახალგაზრდობის სამინისტრო

გერმანია — შინაგან საქმეთა სამინისტრო

უნგრეთი — ფიზიკური განათლებისა და სპორტის ეროვნული ოფისი

ისლანდია — კულტურისა და განათლების სამინისტრო

ირლანდია — განათლებისა და სპორტის დეპარტამენტი

იტალია — ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

ლატვია — ლატვიის სპორტის დეპარტამენტი (შედის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში)

ლიხტენშტეინი — კულტურისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

მალტა — ახალგაზრდობის, სპორტის, კულტურისა და ხელოვნების საპარლამენტო სამდვინო

სეოკი-დან მოგვაწოდა
თამაზ თევზაძემ

~~გაგრძელება იქნება~~

ქუთაისელი ჩემპიონები

„ლელოს" წინა ნომერში გაგაცანით ნიჩბოსნობაში საქართველოს ჩემპიონატის შედეგები. ამ პუბლიკაციას ქუთაისიდან უმალვე მოჰყვა სატელეფონო ზარი — გვამცნეს, რომ აკადემიურ ნიჩბოსნობაში ორადგილიანთა (უმესაჭოდ) შეჯიბრებაში გამარჯვებულ ქუთაისელთა წყვილში შეცდომითაა მოხსენიებული იმედა იმედაძე, — ანუ ნიკოლოზ კანკავას მეწყვილე ყოფილა არა იმედაძე, არამედ ზვიად შანიძე. „ლელოს" კორესპონდენტი ესწრებოდა ჩემპიონატს, ქუთაისელთა წყვილი ფირზეც აღბეჭდა, როგორც გამარჯვებულები, მაგრამ ფედერაციის მიერ რედაქციაში ოფიციალურად წარმოდგენილ შედეგებში ზვიად შანიძე აღარ იყო მოხსენიებული. რედაქციამ ჩათვალა, რომ მსაჯთა კოლეგიამ უკეთ იცის თავისი საქმე და ჩემპიონთა ის ფოტო აღარ გამოქვეყნდა ოქმთან შეუსაბამობის გამო. ქუთაისიდან ზარის შემდეგ გაირკვა, რომ შეცდომა სამსაჯო ოქმიდან ამონაწერშია დაშვებული. ასე რომ, ჩემპიონები არიან ნიკოლოზ კანკავა და ზვიად შანიძე (აქვე გთავაზობთ ამ წყვილის ფოტოს).



ნიკოლოზ კანკავა (მარცხნივ) და ზვიად შანიძე

ალპინიზმი

მსოფლიოს სახურავი სეზონს ხსნის

ჰიმალაის უმაღლეს მწვერვალებზე ასვლის საგაზაფხულო სეზონი I მარტს დაიწყო და 31 მაისამდე გაგრძელდება — ივნისში წვიმების პერიოდი დგება. ნეპალის მთავრობამ 18 ქვეყნის 29 ექსპედიციაზე გასცა შტურმის ნებართვა — რასაკვირველია მაღალი „საწევრო" გადასახადის ფასად.

სამი თვის მანძილზე ჰიმალაის 6 გუნდით (!) ეწვევიან აშშ-ის მთამსვლელები, 2-2 გუნდით — სლოვენიისა და დიდი ბრიტანეთის სპორტსმენები, აგრეთვე რამდენიმე სხვა ქვეყნის — მათ შორის რუსეთის — წარმომადგენლები.

მე, მალხაზ მამამთავრიშვილი...

თუ ვინმე ამ განცხადებას გამოეხმაურება, საქართველოში პირველი საინტერესო ორთაბრძოლის მოწმე გავხდებით. წარსულში კრივის ცნობილმა ოსტატმა მალხაზ მამამთავრიშვილმა გაზეთ „რინგის" წლევანდელ 1-2 ნომერში ასეთი განცხადება გააკეთა: ***„მე, მალხაზ მამამთავრიშვილი, 57 წლის, 6 თვის ვარჯიშის შემდგომ ვიწვევ საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერი წონის ვეტერან მოკრივეს 5 რაუნდიან ბრძოლაში".***

მალხაზი ჭაბუკობიდან იუმორის გამახვილებული გრძნობით იყო დაჯილდოებული. არა გვგონია, ახლა, მისი ეს განცხადება მხოლოდ იუმორი იყოს.



საქართველოს ჩემპიონი და პრიზიორები აკადემიურ ნიჩბოსნობაში (400 მ. ერთადგილიანი) — მარცხნიდან: კახაბერ ელყანიშვილი (I ადგილი), დავით შველიძე (II) და ირაკლი ლოლობერიძე (III) — სამივე სპორტსმენი თბილისელია.

ხელბურთელები ბაკურიანში

ვაუ ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის უკეთ მოსამზადებლად ახალი უფროსი მწვრთნელის ზაზა დოლიძის ხელმძღვანელობით ბაკურიანში გაემგზავრა ორკვირიან შეკრებაზე, რომელიც სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა დააფინანსა. 6 ივნისს კენჭისყრა გაიმართება და ცნობილი გახდება რომელ ჯგუფში, ვისთან და სად ვიასპარეზებთ ივლისში. ინფორმაცია მოგვაწოდა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის თანაშემწემ გივი ჯიშიაშვილმა.

ჩვენებურები უცხოეთში

კ. ალადაშვილის „ვერცხლი"

შუაციმბირის ტორგაშინის ქედის საციგაო ტრასაზე გამართულ რუსეთის ჩემპიონატში ერთეულ ვაჟთა ასპარეზობაში კრასნოიარსკის მხარის წარმომადგენელმა კ. ალადაშვილმა სპატიო მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა, რითაც წვლილი შეიტანა მხარის გუნდის გამარჯვებაში.

გამოიწერეთ „ლელო"
1998 წლისათვის!

დაფასება

ქუჩასა და სპორტის სასახლეს — განთქმული ფალავნის სახელი

მახაჩყალის ერთ-ერთ ქუჩასა და სპორტის სასახლეს ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის ივან იარიგინის სახელი ეწოდა. ასე დააფასეს დაღესტნის რესპუბლიკისა და ქალაქის ხელისუფლებამ სახელგანთქმული მოჭიდავე, რომელიც შარშან, შემოდგომაზე სწორედ ამ ქალაქიდან გაემგზავრა კისლოვოდსკისაკენ და გზაში დაიღუპა ავტოავარიის ძედეგად.

FRANCE 98
COUPE DU MONDE

ბუნისი

თუმცა გარესამყაროში ნაკლებად იცნობენ

ეს ის ნაკრებია, რომელიც თითქმის მოლიანად ტუნისში მოთამაშე ფეხბურთელებისაგან შედგება ლეგიონერების სულ მცირე რიცხვით. როცა ექსპერტები ამას აღნიშნავენ, ამასთან არც ტუნისელების წარმატებები და უდავო ძალა ავიწყდებათ.

ტუნისი დიდხანს შედიოდა საფრანგეთის კოლონიურ იმპერიაში. სწორედ იმიტომაც იყო, რომ იქაური საფეხბურთო სკოლა ფრანგულის დიდი გავლენით ჩამოყალიბდა და წამყვანი ფეხბურთელებიც წლების განმავლობაში სწორედ საფრანგეთის კლუბებში თამაშობდნენ. ფეხბურთის ფედერაცია (ფედერასიონ ტიუნიზიენ დე ფუტბოლ) 1956 წელს ჩამოყალიბდა, შტაბ-ბინა ქ. ტუნისში აქვს, 1960 წელს ფიფას წევრი გახდა, იმავე წელს შევიდა აფრიკის ფეხბურთის ფედერაციაში და დაიწყო მონაწილეობა კონტინენტის სხვადასხვა შეჯიბრებაში. უკვე 1961 წელს აფრიკის თასზე (იგივეა, რაც კონტინენტის პირველობა) ნაკრები მესამე ადგილზე გავიდა, 1963 წელს მოიგო არაბული ქვეყნების პირველობა, 1971 წელს ხმელთაშუაზღვის ქვეყნების თამაშების მეორე პრიზიორი გახდა. მონაწილეობდა ოლიმპიურ თამაშებში. ტუნისელები ხშირად იწვევდნენ სხვადასხვა უცხოელ მწვრთნელებს, ერთხანს იქ მუშაობდა რუსი სპეციალისტი ალექსეი პარამონოვი. ამჟამად ქვეყანაში 220-ზე მეტი კლუბი და დაახლოებით 20 ათასი ფეხბურთელია. ტუნისელები ფიფაში შესვლის დღიდან მონაწილეობდნენ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში, 1962 და 1970 წლებში აფრიკის შესარჩევ ჯგუფში პირველი-მეორე ადგილებიც კი გაიყვეს მაროკოელებთან, მაგრამ ორივე შემთხვევაში ბრმა წილისყრამ უმტყუნათ. ტუნისელებმა მიზანს ბოლოს და ბოლოს მაინც მიაღწიეს და 1978 წელს მონაწილეობდნენ მსოფლიოს მეთერთმეტე ჩემპიონატის ფინალში, რომელიც არგენტინაში გაიმართა. შედეგები ცუდი არ იყო: პირველივე მატჩში მათ სძლიეს — 3-1 მექსიკელებს, მეორე წაადგეს — 0-1 პოლონელებთან, როცა ვერ შეაჩერეს გამოჩენილი ოსტატი ლიატო. სხვათა შორის, ამ მატჩში მონაწილეობდა ტუნისელთა ახლანდელი პოლონელი მწვრთნელი კასპერჩაკი. მესამე მატჩი გფრ-ის გუნდთან აფრიკელებმა ფრედ 0-0 დაასრულეს და გამოეთხოვნენ ასპარეზობას. ამის შემდეგ ტუნისის ფეხბურთში ხანგრძლივი კრიზისი დაიწყო, რაც შედეგებშიც სათანადოდ აისახა აფრიკის თასზე თუ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებებში. იმ დროიდან მოყოლებული ტუნისელები მსოფლიო პირველობის ფინალებში უკვე ვეღარ ხვდებოდნენ.

ვითარება მხოლოდ მაშინ შეიცვალა, როცა მათ ნაკრებს სათავეში ჩაუდგა პოლონელი ჰენრიკ კასპერჩაკი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მან შეძლო ტუნისური ფეხბურთის ღრმა კრიზისიდან გამოყვანა.

აი, ზოგიერთი ცნობა მის შესახებ. ჰენრიკ კასპერჩაკი დაიბადა 1946 წლის 10 ივლისს ზაბუეში. იყო გამოჩენილი ნახევარმცველი. 1962-64 წლებში თამაშობდა ზაბუეს „სტალში“, 1964-66 და 1968-78 წლებში — მილეცის „სტალში“, 1966-68 წლებში ვარშავის „ლეგიასა“ და 1978-80 წლებში საფრანგეთის ცნობილ კლუბ „მეცში“. პოლონეთის ნაკრებში 1973-78 წლებში გამართა 63 მატჩი (5 გოლი). მონაწილეობდა მსოფლიოს 1974 და 1978 წლების ჩემპიონატებში. 1976 წელს პოლონეთში აღიარეს წლის ფეხბურთელად. 1979 წლიდან პროფესიონალი მწვრთნელია, მუშაობდა საფრანგეთის ცნობილ კლუბებში. შემდეგ გადავიდა აფრიკაში და სათავეში ჩაუდგა კოტ დ'ივუარის ნაკრებს. 1994 წლის მიწურულში ჩაიბარა ტუნისის ნაკრები და დადო პირობა, რომ მას ამდენი ხნის შესვენების შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გაიყვანდა. როგორც ვხედავთ, ეს ამაო ქადილი არ აღმოჩნდა.

როცა კასპერჩაკის მიერ უკვე გვარიანად მომზადებულმა ნაკრებმა 1996 წელს აფრიკის თასზე მეორე ადგილი დაიკავა (გაიმარჯვა სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა), ცხადი გახდა, რომ მას მეტი წარმატების მიღწევა შეეძლო. იგი აღმოჩნდა აფრიკის ზონის მეორე შესარჩევ ჯგუფში, სადაც უნდა ეთამაშა ეგვიპტის (აფრიკის თასის ახლანდელი მფლობელი!), ლიბერიის (ჯორჯვა!) და ნამიბიის ნაკრებებთან. ეს თითქოსდა, ძნელი ამოცანა ტუნისელებმა გადაჭრეს მეტად... იოლად. მთავარი მეტოქეები — ეგვიპტელები მათ ტუნისში დაამარცხეს — 1-0, ქაიროში კი შეხვედრა ფრედ — 0-0 დაასრულეს. ორჯერ დაამარცხეს ნამიბიელები — 2-1 და 4-0, ორჯერ ლიბერიელებიც — 1-0 და 2-0. ამ თამაშებში ბეიამ 3 გოლი გაიტანა, ბადრამ — 2. საბოლოოდ ტუნისელებმა 6 თამაშიდან 16 ქულა მოაგროვეს, ბურთების ბრწყინვალე სხვაობით — 10-1 და მთელი 6 (!) ქულით გაასწრეს მეორე ადგილზე გასულ ეგვიპტელებს. ამას მთელ ქვეყანაში დიდი ზეიმი მოჰყვა.

ახლა კი მოვუსმინოთ თვით ჰენრიკ კასპერჩაკს, რომელიც ლაპარაკობს თავისი ფეხბურთელების შესახებ.

ტუნისელებმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური სავე ზეური გაიკვლიეს...

— გუნდში რომ მოვედი, მოთამაშეებს დისციპლინაზე არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ. დღეს ყველაფერი ეს უკვე დაძლეულია. ახალგაზრდებს ცოტაოდენი ფეხბურთიც ვასწავლეთ, გამარჯვების გემოც დავუბრუნეთ. ვფიქრობ, ახლა მათ უკვე ბევრი რამ შეუძლიათ. ყველა სხვა აფრიკული ნაკრებისგან განსხვავებით, ძალიან ცოტა ლეგიონერი გვყავს. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ბოლო ხანებამდე ჩვენი ფეხბურთი კრიზისულ მდგომარეობაში იყო. მაგრამ იმედი მაქვს, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ჩვენს ფეხბურთელებზე მოთხოვნა მკვეთრად გაიზრდება და ეს მათ სასარგებლოდაც იმოქმედებს.

საზღვარგარეთ სულ 4 ჩვენი ფეხბურთელი გამოდის. მეკარე ალი ბუმნიჟელს („ტულუზა“, 31 წლის), რომელიც უკვე არაერთი წელია საფრანგეთში თამაშობს, მხოლოდ ამას წინათ მივაქციეთ ყურადღება, მაგრამ ახლა სავსებით ვენდობით. იგი უფრო სტაბილური გახდა, აიმაღლა თამაშის კლასი, შეიძლება პირველი მეკარეობა ჩამოართვას გამოცდილ შუქრი ელ-უაერს (ქ. ტუნისის „ესპერანსი“, 33). ამ ბოლო ხანებში უკეთ თამაშობს ნახევარმცველი ზუბეირ ბეია (გერმანიის მეორე ბუნდესლიგის „ფრაიბურგი“, 27). მან გაამართლა იმედები შესარჩევ ციკლში და საფრანგეთშიც თვალსაჩინო როლი უნდა შეასრულოს. თავდასხმის ხაზი ერთად ერთია ნაკრებში, რომელიც მთლიანად ლეგიონერებისაგან შედგება. აქ იმედს ვამყარებ ბეიას ნიჭიერ ახალგაზრდა თანაკლუბელ მეხდი ბენ სლიმანზე („ფრაიბურგი“, 23). შესაძლოა, შესარჩევ ტურნირში მას არც ისე გამოუვიდა თამაში, მაგრამ სრულიადაც არა მშურს რუმინეთის, ინგლისისა და კოლუმბიის მეკარეებისა — ახალგაზრდამ უკვე მიიღო სათანადო გამოცდილება, რაც ამაოდ არ ჩაივლის. მისი მეწყვილე ადელ სელიმი („ნანტი“, 26) საფრანგეთის ამ ცნობილ კლუბში შესანიშნავ თავდამსხმელებს უწევს კონკურენციას.

როგორც მწვრთნელმა აღნიშნა, დაცვა შედგება ადგილობრივი კლუბების „ეტუალ დიუ სახელოს“, „ესპერანსის“, „კლუბ სფაქსიენის“ მოთამაშეებისაგან, რომლებმაც ძალიან კარგად ითამაშეს შესარჩევ ციკლში. საერთოდ კი ტუნისელთა ნაკრების ოპტიმალური შემადგენლობა დღეისათვის ასე გამოიყურება: ბუმნიჟელი — ჰალედ ბადრა („ესპერანსი“, 24, მან შესარჩევ ციკლში ორი გოლი გაიტანა), სამი ტრაბელსი („კლუბ სფაქსიენი“, 29) მუნირ ბუკადიდა („ეტუალ სახელი“, 30), ფერიდ შუშანი („ეტუალ სახელი“, 24), სუფიან ფეკიქსი („კლუბ სფაქსიენი“, 28), რიად ბუაზიზი („ეტუალ სახელი“, 24), ბეია, სკანდერ სუაიექსი („კლუბ სფაქსიენი“, 25) — სელიმი, ბენ სლიმანი.

რას ფიქრობს ჰენრიკ კასპერჩაკი მსოფლიო ჩემპიონატზე თავისი მოწინააღმდეგეების შესახებ? „ჩვენს ჯგუფში ოთხმა ძლიერმა ნაკრებმა მოიყარა თავი. პირველი წრის შემდეგ შეჯიბრებას შეიძლება ნებისმიერი მათგანი გამოეთიშოს. ძალზე არასასურველი იქნება, თუ ჩვენც მათ რიცხვში აღმოვჩნდებით. ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი იქნება უკვე პირველი ტურის შეხვედრა მარსელში ინგლისელებთან. რახან ტუნისიდან მარსელამდე არც ისე შორსაა, იმედი მაქვს, რომ „ველოდრომზე“ ჩვენი გულშემატკივრებიც საკმაოდ იქნებიან.

მსოფლიო პირველობისათვის ტუნისელთა მზადებაში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა მონაწილეობას აფრიკის თასზე, რომელიც ბურკინა-ფასოში ჩატარდა. წინასწარ ჯგუფში ტუნისელების მეტოქეები იყვნენ განის, ტოგოსა და კონგოს გუნდები. აქ კასპერჩაკის ნაკრებმა შეძლო პირველი ზღუდის დაძლევა, ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და მეოთხედფინალში გავიდა. იქ მისი მეტოქე იყო მასპინძლის, ბურკინა-ფასოს არც ისე ძლიერი ნაკრები, რომელმაც იმ დღეს მეტისმეტად გამოიდო თავი, ძირითადი და დამატებითი დროის შემდეგ ანგარიში იყო 1-1, მაგრამ შემდეგ პენალტების სერიით უპირატესობა ბურკინა-ფასოს ნაკრებმა მიაღწია. „ისინი, რა თქმა უნდა, ჩვენზე ძლიერები ნამდვილად არ არიან, მაგრამ საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ, შეიძლება ითქვას, პირდაპირ დაფრინავდნენ“ — განუცხადა ჟურნალისტებს ჰენრიკ კასპერჩაკმა.

მზადება გრძელდება. გადამწყვეტი ეტაპი მაისის მიწურულსა და ივნისის დასაწყისში დადგება. აქ ტუნისელები აპირებენ ავსტრიის, ჩილესა და უელსის ნაკრებებთან შეხვედრას, ამასთან, სპეციალურად არიან შერჩეულნი ევროპული, ლათინოამერიკული და ბრიტანული სკოლების წარმომადგენლები.

გივი თორელი

FRANCE 98 INFORMATIONS

მათ საფრანგეთში ველოდებით

კრისტიან კარამბუ

დაიბადა: 1970 წლის 24 დეკემბერს
სიმაღლე: 172 სმ. წონა 70 კგ
კლუბები: ნანტი, სამპდორია, რეალი

1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე ემე ჟაკემ კრისტიანი „რკინის კაცად“ მონათლა. იგი ნიადაგ გამოირჩევა ბრძოლისუნარიანობით. სწორედ ამ თვისებამ დაამკვიდრა იგი დიდ ფეხბურთში. 19 წლის კარამბუ „ნანტის“ სელექციონერებმა ავსტრალიასთან მდებარე პატარა კუნძულებიდან წაიყვანეს. ამას მოჰყვა „ნანტის“ საოცარი აღმასვლა საფრანგეთის ჩემპიონატში, რაც გარკვეულწილად მწვრთნელ ჟანკლოდ სიუდოს დამსახურება იყო. მან ძალზე ახალგაზრდა გუნდი შექმნა. იქ ახლა კარამბუს გარდა უედეკი, ლოკო, პედროსი, ნდორამი და სხვები ბრწყინავენ. „ნანტში“ ჩემი გზა ვიპოვე. იქ გატარებული წლები ყველაზე ბედნიერი ხანაა ჩემს ცხოვრებაში“. კრისტიანი ძალზე უშუალო და მხიარული კაცია.

● *„ნანტი“ საკმაოდ მალე დატოვეთ. იტალიაში კი თქვენი თავი ვერ წარმოაჩინეთ სრულად. ეს შეცდომა იყო?*

— ცხოვრებაში ყოველთვის ერთი რამ მამოძრავებდა — მქონოდა ბევრი ფული და წარმტაცი კარიერა. ამას რომ მივაღწიე, ბედნიერი ვარ. იტალიაში საკმაოდ ძნელია თამაში. უფრო სწორედ, დაღლა დამეტყო. ვარჯიში მტანჯავდა, რადგან დიდი ფიზიკური დატვირთვა მქონდა.

● *მაგრამ ესპანეთი? თქვენ მხოლოდ ერთი თვეა, რაც „რეალში“ ხართ. მოგწონთ აქაური ატმოსფერო?*

— მადრიდში შევეჩვიე ყველაფერს. აქ სიამოვნებაა თამაში. მით უმეტეს ამდენი ვარსკვლავის გარემოცვაში. ერთადერთი, რასაც ვერ შევეჩვიე, ეს კერძებია. მადრიდში მოვიწამლე კიდეც კომბოსტოს სალათით.

● *იტალიაში მაკარონის თეფშით ხართ გადაღებული. ეტყობა დელიკატესების დიდი მოყვარული ხართ.*

— მართალია, მაკარონი კი მართლაც მშვენებაა.

● *დიდი დრო გაგიცდათ. თუმცა ჟაკე შანსს გაძლევთ და ამბობს, რომ მთავარი კარამბუს სპორტული ფორმაო.*

— ძალიან მინდა მსოფლიო ჩემპიონატში თამაში. ისიც ვიცი, რომ ამისათვის ბრძოლაა საჭირო. ფრანგულ ფეხბურთში ბევრი ახალგაზრდა ძლიერი მოთამაშე გამოჩნდა და კონკურენციაც გამძაფრდა. ჟაკეს სჯერა ჩემი.

● *კრისტიან, ბევრი ამპლუა გამოიცვალეთ, „სამპდორიაში“ ერიქსონი დაცვაშიც გაყენებდათ და არც გიჭირდათ თამაში. ისე კი, ალბათ, გამთაშებლად უკეთესად გამოიყურებით, ვთქვათ როგორც — „ნანტში“.*

— „სამპაში“ ერიქსონი ხან ზედორფს ანდობდა „დირიჟორის ჯოხს“, ხანაც ხალსანოს. თუმცა, „ნანტი“ მხოლოდ მოგონებაა, მაგრამ მინდა კვლავ გამთამაშებლად ვითამაშო.

● *ვინ გაიმარჯვებს მსოფლიოს ჩემპიონატში?*

— გულით მინდა ჩვენი გამარჯვება. და მგონია კიდეც, რომ საფრანგეთს ვერც ერთი გუნდი ვერ სჯობს. ასეთი ტურნირების მოგებას კი ხშირად იღბალიც უნდა დაემატოს.

● *ესპანეთის ჩემპიონატში?*

— ვფიქრობ, „რეალი“. ჯერ ცოტა დროა, რაც აქა ვარ, მაგრამ „ბარსელონას“ სისუსტეები კარგად დავინახე. ჩვენი გუნდი ბრწყინვალედ თამაშობს.

ილია ნანობაშვილი,
ჟურნალ „Football“-ზე დაყრდნობით.

არგენტინელები საფრანგეთში ბატისტუტასაც წაიყვანენ

ეს ცნობილი გახდა მას მერე, რაც დიდი ხნის შესვენების შემდეგ ნაკრებში დაბრუნებულმა ფიორენტინელმა გრძელთმიანმა ფორვარდმა გაბრიელ ბატისტუტამ შესანიშნავად ითამაშა ამხანაგური მატჩი ბულგარელების წინააღმდეგ.

არგენტინა – ბულგარეთი 2-0

არგენტინა: **კავალიერო, ლომბარდი, აიალა (ბერიზო), შამოტი, პინედა, ზაპატა, ვერონი, კარდოზო, გალიარდო (ბერტი), ლოპესი, ბატისტუტა (დელგადო).**

ბულგარეთი: **ზდრავკოვი, კიშიშევი, გენჩევი, ივანოვი, ჰუბჩევი, იანკოვი, ხრისტოვი (იოვოვი), ტოდოროვი (ლეჩკოვი), ბალაკოვი, სტოიჩკოვი (კოსტადინოვი), პენევი.**

გოლები: **ბატისტუტა (35), ლოპესი (87)**

არგენტინელებმა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ბულგარელებთან მარცხისათვის დამაჯერებელი რევანში აიღეს. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, წინააღმდეგობით აღსავსე პასარელამ, როგორც იქნა, ინება (პრესაში გაჩაღებულ კამპანიას წინ ვეღარ აღუდგა) და გაბრიელ ბატისტუტა ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ათამაშა. სახელოვანმა ფორვარდმა დაბრუნება გოლით აღნიშნა. მან ბულგარელთა მეკარე ზდრავკოვის მიერ ლოპესის დარტყმის მოგერიებულს ნახტომში დაამატა. აღსანიშნავია, რომ ბატისტუტას ორიოდე წუთით ადრე კიდევ ჰქონდა ერთი გატანილი გოლი, მაგრამ გვერდიდმა მსაჯმა ოფსაიდი აღნიშნა. საფინალო სასტვენამდე სამი წუთით ადრე ლოპესმა სამხრეთამერიკელთა გამარჯვება განამტკიცა, 2-0.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ბალკანელთა გუნდის მთავარი მწვრთნელი ხრისტო ბონევი იხტიბარს არ იტეხდა: „ჩვენ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის უცილობელ ფავორიტთან დავმარცხდით, თანაც მის მინდორზე. ტრაგედიას ნუ შევქმნით. ივნისამდე დიდი დრო და დაუღალავად ვიმუშავებთ ძლიერი ნაკრებისათვის. მოხარული ვარ, რომ გუნდში კვლავ გამოჩნდა ხრისტო სტოიჩკოვი. საფრანგეთში მისი დიდი იმედი გვაქვს“. ცხადია, კმაყოფილი იყო არგენტინელთა თავკაცი დანიელ პასარელა: „რაც დრო გადის, ნაკრები თამაშის ხარისხს იუმჯობესებს. გუნდში დაბრუნებულმა ბატისტუტამაც კარგად აუბა მხარი პარტნიორებს. დარჩენილ სამ თვეში კიდევ უფრო დავხვეწავთ თამაშს და შევეცდებით არ გავაწბილოთ ჩვენი გულშემატკივრები“. გახარებულმა გაბრიელ ბატისტუტამ კი ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა: „აუწერელია ჩემი სიხარული, რომელიც ნაკრებში დაბრუნებითაა გამოწვეული. საფრანგეთში თავს არ დავზოგავ, რათა არგენტინა და მისი ხალხი ვასახელო“.



საჩუქრებელი ფასი

ორშაბათს მცხეთის სტადიონზე დიდი ანგარიშით გამარჯვების შედეგად საქართველოს თასის ნახევარფინალისტებს – ბათუმის „დინამოს“, გორის „დილასა“ და თბილისის „უნივერსიტეტს“ ჩვენი ქვეყნის რვაგზის ჩემპიონი და თასის ექვსგზის მფლობელიც შეემატა.

განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი

დინამო (თბილისი) — იბერია (სამტრედია) 8–0

დინამო: ზოიძე, ლობჟანიძე, გელაძე, დიდავა, ცქიტიშვილი, გუჩუა, კიკნაძე, ალექსიძე, აშვეთია (პეტრიაშვილი, 66), მუჯირი (ბურდული, 55), ხომერიკი (წიტაიშვილი, 60).
იბერია: ლაბაძე (ჭოლაძე, 47), გეგეშიძე, ბრეგვაძე, ჭელიძე, ქობესაშვილი, თოდუა, ჩომახიძე (ივეჩანი, 46), ბ. ნიკოლეიშვილი (გ. ნიკოლეიშვილი, 46), გიგიაძე, ბაკურაძე მუმლაძე.
გოლები: აშვეთია (13, 22, 29, 64), ხომერიკი (33, 45, 49), ბურდული (80).
გაძევება: პეტრიაშვილი
მსაჯი: გ. ასკარ-ოღლი (ქარელი).

ამ გუნდების განმეორებით მატჩს მოტივაცია კი ჰქონდა, მაგრამ ასეთ შეხვედრებს მეორეს მხრივ არაფერი მოაქვს თბილისის „დინამოსათვის“, რადგან სამტრედიელებმა, მხოლოდ 13 წუთი შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა – დაცვაში მეტად ორგანიზებულად მოქმედებდნენ და ერთ-ერთი მწვავე კონტრიერიშითაც დაემუქრნენ მრისხანე მეტოქეს. აშვეთიას ზუსტი ცაციის შემდეგ კი, „ჩვილი ბავშვის გალახვის“ მოწმენი გავხდით. სამტრედიელები, მიუხედავად დიდი ანგარიშით დამარცხებისა, წყალწაღებული და უპერსპექტივო გუნდის შთაბეჭდილება ნაღდად არ დაუტოვებიათ და, ალბათ, ნიკა ამირეჯიბის მეთაურობით პირველ ჯგუფში გადასვლის რეალურ კანდიდატებადაც მოგვევლინებიან მეორე წრეში.

რაც შეეხება „დინამოს“, მას პირველი გამოცდის ჩაბარება დღეს მოუნევს, როცა ყველა ასპექტში ჯანღონემოკრეფილ „რუსთავს“ სტუმრად შეეჯიბრება. ისე კი, ერთის თქმა ახლაც შეიძლება – მიხეილ აშვეთია ის ფეხბურთელია, რომელიც ასე აკლდა თბილისის „დინამოს“.

დათო თავართქილაძე

მეორე წრის წინ; ყველას თავისი დარდი და ამოცანები აქვს



დავით ყიფიანი (თბილისის „დინამო“, მთავარი მწვრთნელი): ხშირად მეკითხებიან, რას ვფიქრობ გუნდის სამომავლო გამოსვლაზე ჩემპიონთა ლიგაში. სანამ მას მივაღწევდეთ ჯერ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატია მოსაგები და ამისათვის ყველა ღონეს ვიხმართ.... ისე, თუ ხშირად წაგვართვეს 5-5 ქულა, შეიძლება ეკავარდეთ კიდეც პირველი ჯგუფიდან.

შოთა ჯეიშვილი (ბათუმის „დინამო“, მთავარი მწვრთნელი): გუნდი მზადაა უმაღლესი ამოცანების შესასრულებლად.

ჯემალ გობია (ზუგდიდის „ოდიშის“ ტექნიკური დირექტორი): ვფიქრობ, „ოდიში“ ხელწამოსაკრავი გუნდი რომ არაა, პირველ წრეში დაამტკიცა. ვეცდებით არ დავთმოთ მოპოვებული პოზიციები.

ანზორ გაბიტაშვილი (თბილისის „უნივერსიტეტის“ ექიმი): გუნდი კარგი განწყობით ხვდება მეორე წრეს. მოსამზადებელი პერიოდი, ვფიქრობ, ნაყოფიერად გამოვიყენეთ.

სოსო ფილია (ფოთის „კოლხეთი-1913“-ის მთავარი მწვრთნელი): მზადების ბოლო ეტაპი ბულგარეთში შეკრებით დავასრულეთ. მგონი ცუდად არ გვიმუშავია. ვეცდებით პრიზიორებში მოვხვდეთ და ერთ-ერთი ევროტურნირის საგზური მოვიპოვოთ.

სოსო ფრუიძე (ქუთაისის „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელი): პრიზიორებს 7 ქულა გვაშორებს. ყველა ღონეს ვიხმართ ეს ჩამორჩენა ავინაზღაუროთ და შემოდგომაზე ევროტურნირებში გამოვიდეთ.

სპარტაკ არჩვაძე: (თბილისის „ვიტ-ჯორჯიის“ მწვრთნელი): აბა, რა გითხრათ. თავად ხედავთ რა სიტუაციაში მოვხვდით. ფაქტიურად ახალი გუნდის ჩამოყალიბება გვიწევს.

ნუბზარ ნავაძე (თბილისის „მერანი-91“-ის კლუბის პრეზიდენტი): საორგანიზაციო ხასიათის პრობლემები ბევრი გვქონდა. ახლა, მგონი, ყველაფერი დალაგდა. აუცილებლად ვიბრძოლებთ ერთ-ერთი ევროტურნირის საგზურის მოსაპოვებლად.

გაიოზ დარსაძე („რუსთავის“ მთავარი მწვრთნელი): ჯერ მთავარია აუტსაიდერთა რიგებს მოვწყდეთ, პარალელურად ვეცდებით ძლიერი გუნდი შევქმნათ. სამუშაო დიდი გველის. ფორსირებული ტემპით უნდა ვიაროთ.

ანზორ გძელიძე (ბოლნისის „სიონის“ მთავარი მწვრთნელი): არა მგონია ჩვენზე ცუდ დღეში ვინმე იყოს. გუნდი ბევრმა მოთამაშემ დატოვა. ფინანსური პრობლემების გამო მეორე წრისათვის მზადება მხოლოდ 5 მარტიდან დავიწყეთ. თუ მთელი რაიონი არ დაგვეხმარა, პირველ ჯგუფში ადგილს ვერ შევინარჩუნებთ.

ვასილ ხაჭაპურიძე (ზესტაფონის „მარგვეთის“ კლუბის პრეზიდენტი): აბა, როგორ მოგატყუოთ, მხოლოდ სასწაული იხსნის ჩვენს გუნდს. და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, თავგანწირვით ვიბრძოლებთ.

სტატისტიკის მოყვარულთათვის

საქართველოს ეროვნული ნაკრები

● ჩაატარა 39 მატჩი (18 — მოგება, 3 — ფრე, 18 — წაგება, ბურთების შეფარდება 59-52).

● გატანილი 59 გოლი მოდის შემდეგ ფეხბურთელებზე: შ. არველაძე — 11, თ. ქეცბაია — 10, მ. უაველაშვილი — 6, გ. ქინქლაძე — 5, გ. ჯამარაული — 5, ა. არველაძე — 3, გ. გოგრიჭიანი — 2, კ. კაჭარავა — 2, დ. ყიზილაშვილი — 2, გ. დარასელია — 2, დ. ჯანაშია — 2, გ. გურული — 1, გ. ჯიშკარიანი — 1, დ. კუდინოვი — 1, რ. არველაძე — 1, მ. ჯიშკარიანი — 1, კ. გოგიჩაიშვილი — 1, კ. ცხადაძე — 1, ა. იაშვილი — 1, გ. კულიბაბა (მოლდოვა) — 1 საკ. კარში.

● საკუთარ მინდორზე გატანილია 30 გოლი, სტუმრად — 29; პირველ ნახევარში — 23, მეორე ნახევარში — 36.

● შესრულებულია ერთი ჰეთ-თრიკი (შ. არველაძე, საქართველო-სომხეთი), 5. „დუბლი“ (დ. ყიზილაშვილი, თ. ქეცბაია, ა. არველაძე, გ. ჯამარაული, მ. უაველაშვილი). ჰეთ-თრიკი საქართველოს ნაკრების კარშიც გაუტანიათ (მოლდოვანი, რუმინეთი — საქართველო), რვა ფეხბურთელმა კი 2-2 გოლი გაგვიტანა (იეკინი, ნიასია, ოჭანა, კლინსმანი, სულეიმანოვი, ნიკოლაიდისი, მიტრევი, კოსტადინოვი).

● გაშვებული 52 ბურთიდან 22 მოდის ი. ზოიძეზე, 20 — ა. დევაძეზე, 3 — ნ. ტოგონიძეზე, 2 — ა. ბალაძეზე, 2 — ნ.ჩხეიძეზე, 2 — დ. ჯანელიძეზე, 1 — დ. გვარამაძეზე.

● საქართველოს ნაკრების მატჩებში პენალტი 16-ჯერ დაინიშნა, 8 საჯარიმო ჩვენებმა შეასრულეს, 8 — მეტოქემ. ქართველებმა 7-ჯერ გაიტანეს (გ. ქინქლაძე — 3, თ. ქეცბაია, კ. გოგიჩაიშვილი, გ. ჯიშკარიანი, შ. არველაძე — თითო) და მხოლოდ ერთხელ გაუცუდდათ (ზ. რევიშვილი, ისრაელი — საქართველო). საქართველოს ნაკრების მეტოქეებმაც 7 პენალტი გაგვიტანეს და მხოლოდ ერთხელ იმარჯვა მეკარემ (ს. გრიშიკაშვილი, ნიგერია — საქართველო).

● საქართველოს ნაკრების სახელით სულ 69 ფეხბურთელმა ითამაშა. ყველაზე ხშირად ეროვნული გუნდის მაისური მოირგეს გ. ნემსაძემ (31 მატჩი), თ. ქეცბაიამ და მ. შელიამ (28-28), გ. ქინქლაძემ (27), გ. ჯამარაულმა, კ. გოგიჩაიშვილმა და შ. არველაძემ (26-26).

● 39 მატჩიდან საქართველოს ნაკრებმა საკუთარ მინდორზე მხოლოდ 13 ჩაატარა (თბილისში — 11, ბათუმსა და გურჯაანში 1-1). საშინაო მატჩებს დაესწრო 570 ათასი მაყურებელი, საშუალოდ ერთ მატჩში — 43 846. ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავდა საქართველო — გერმანიის მატჩს — 110 ათასი, საქართველო-ინგლისის და საქართველო-იტალიის შეხვედრებს თვალს ადევნებდა 60-60 ათასი კაცი. შინ ჩატარებულ მატჩებში ყველაზე ცოტა მაყურებელი ჰყავდა გურჯაანში გამართულ საქართველო-აზერბაიჯანის შეხვედრას (3 ათასი).

● სტუმრად ჩატარებულ მატჩებში ყველაზე მეტი მაყურებელი დაესწრო „უემბლიზე“ გამართულ ინგლისი — საქართველოს შეხვედრას — 71.208, ყველაზე ნაკლები კი

რიგაში ჩატარებულ ლატვია — საქართველოს და კატოვიცეს პოლონეთი — საქართველოს მატჩებს (1000-1000 კაცი).

● პირველი ქართველი ფეხბურთელი, ვინც მსაჯმა გაფრთხილა იყო გ. ჯიშკარიანი, ხოლო პირველად გაძევებული — გ. ჩიხრაძე (მის გარდა კიდევ გაუძევებიათ გ. ქინქლაძე, მ. უაველაშვილი, კ. კალაძე). რაც შეეხება გაფრთხილებებს, სულ 57-ჯერ აჩვენა მსაჯმა ყვითელი ბარათი ქართველებს (გ. ნემსაძე — 7, მ. შელია — 6, კ. ცხადაძე — 5, ნ. ლობჟანიძე — 4).

● 39 მატჩში საქართველოს ნაკრები 21 ქვეყნის ნაკრებს შეხვდა. 7 ქვეყანასთან აქვს დადებითი ბალანსი (უელსი, ტუნისი, მოლდოვა, ალბანეთი, მალტა, ლატვია, სომხეთი), ხოლო 10 ქვეყნის ნაკრებთან — უარყოფითი (გერმანია, იტალია, ინგლისი, ნიგერია, რუმინეთი, ლიტვა, საბერძნეთი, ისრაელი, სლოვენია, ნორვეგია), ხოლო 4 ქვეყნის გუნდთან (ბულგარეთი, პოლონეთი, აზერბაიჯანი, კვიპროსი) ქულები თანაბრად განაწილდა.

● ყველაზე მეტჯერ ქართველებმა მოლდოვის ნაკრების კარი აიღეს (9 გოლი), სომხებს 7 გაუტანეს, უელსს, აზერბაიჯანს და ალბანეთს — 6-6, მალტასა და ლატვიას 5-5, პოლონეთს 4.

● გაშვებული 52 გოლიდან ქართველმა მეკარეებმა ყველაზე ხშირად ვერ ივარგეს გერმანელებთან და მოლდოველებთან (6-6-ჯერ), ნიგერიელებთან და რუმინელებთან (5-5), აზერბაიჯანელებთან, პოლონელებთან და ინგლისელებთან (4-4).

სტატისტიკური მასალები მოგვაწოდა
სოხუმელმა გულშემატკივარმა ვ. ჯალალოღლიამ

„ალანიამ“ „ტორპედო“ „გადააგდო“

ქუთაისის „ტორპედოს“ ახალგაზრდა ვიცე-პრეზიდენტს ბესო ჯიქიას მცხეთის სტადიონზე ერთ-ერთ სათასო მატჩზე შევხვდით. იგი აღშფოთებული ჩანდა. მიზეზიც იმთავითვე არ დაუმალავს — მცველის ვახტანგ ხვადაგიანის სატრანსფერო ამბავმა გამანერვიულაო...

ორი თვის წინათ „ლელო“ იტყობინებოდა, რომ დღისით-მზისით, ვლადიკავკაზის ცენტრში, ნიღბიანმა ბანდიტებმა მოიტაცეს „ალანიას“ საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტის მეექვსეკლასელი ქალიშვილი ზალინა. მოარული ხმებით, მის დასახსნელად კლუბის ხაზინიდან მამამ 2 მილიონი დოლარი გაიტანა და ახლა „ალანია“ ფაქტობრივად მშრალზე დარჩა. ამიტომ გაკვირი არაა, რომ სატრანსფერო თანხები, რომლებიც ოსთა გუნდს ახლადშეძენილ მოთამაშეებში უნდა გადაეხადა, დღესდღეობით გასასტუმრებელია. რამდენიმე ფეხბურთელმა, რომ შეატყო საქმეს კარგი პირი არ უჩანსო, უკან გაბრუნება გადაწყვიტა. ასე მოიქცა სამარის „კრილია სოვეტოვის“ ფორვარდი ზურაბ წიკლაური, რომელსაც „ალანიაში“ ლამის ოქროს მთებს ჰპირდებოდნენ. ისეთი პირი უჩანს, რომ წიკლაურის მაგალითს მალე ქუთაისის ტორპედოელი ვახტანგ ხვადაგიანიც მიმართავს. ბესო ჯიქიას თქმით, *ოსთა კლუბის მესვეურებმა სიტყვა გატეხეს და ქუთაისურთა კლუბს დღემდე ხვადაგიანის სატრანსფერო თანხა არ გადაუხადეს.* ამის გამო ჯიქიამ სფფ-ს მიმართა — გთხოვთ უეფას აცნობოთ მომხდარის შესახებ, რათა „ალანიამ“ საჯარიმო სანქციები ზღოს. სხვათა შორის, ჯიქიასთან საუბარში „ალანიას“ კლუბის მეპატრონეების კიდევ ერთი არაკაცური საქციელი გამომზეურდა: დღესაც კი ქუთათურებს ამ კლუბიდან მიხეილ აშვეთიას სატრანსფერო თანხა არ მიუღია...

ვისარგებლეთ მომენტით და ჯიქიას ლევან ქებაძეზე კითხეთ — რუსულ პრესაში ცნობა გამოქვეყნდა, რომ ეს ახალგაზრდა ნახევარმცველი რუსეთის უმაღლესი ლიგის დებიუტანტ ელისტას „ურალანში“ ჩაირიცხა, რაც „ტორპედოს“ კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ნაწილობრივ დაგვიდასტურა: ქებაძე მართლაც „ურალანშია“, მაგრამ ფეხბურთელსა და კლუბს შორის კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, ჩვენის მხრივ კი გვინდა, რომ ლევანმა სეზონის ბოლომდე ითამაშოს ქუთაისში, შემდეგ კი ხელს შევუწყობთ გადავიდეს უფრო ძლიერ საზღვარგარეთულ კლუბშიო.

1980–81 წ.წ. დაბადებულ ჭაბუკთა ტურნირი ფეხბურთში გივი ჩოხელის პრიზზე

აღმოსავლეთის ზონა ● XX ტური

დინამო-81 (თბილისი) — 35-ე სკ.-3 (თბილისი) 4-0, იბერი (თბილისი) — დინამო 2 (თბილისი) 1-2, ფოლადი (რუსთავი) — 35-ე სკ.-1 (თბილისი) 0-4, თელეთი (თელეთი) — ქვემო ჭალა (კასპი) 2-5, 35-ე სკ.-2 — კოდა (თბილისი) — ლოკომოტივი (თბილისი) 4-2, კახეთი (თელავი) — ხალიბი (რუსთავი) 1-1, მერანი-91 (თბილისი) — შევარდენი (თბილისი) 1-0, ასს (თბილისი) — კოდაკო (თბილისი) 4-0.

XXI ტური

ასს — 35-ე სკ.-3 2-0, კოდაკო — მერანი-91 1-0, შევარდენი — კახეთი 0-1, ხალიბი — ივერია 4-1, ავაზა — 35-ე სკ.-2 — კოდა 1-1, ლოკომოტივი — თელეთი 6-0, კასპი — ფოლადი 4-1, 35-ე სკ.-1 — იბერია 6-0.

გათამაშების ცხრილი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
35-ე სკ.-1 (თბ.)	20	17	0	3	66-12	51
დინამო-1 (თბ.)	18	16	2	0	74-10	50
დინამო-81 (თბ.)	18	14	4	0	78-9	46
ავაზა (თბ.)	19	14	2	3	71-15	44
ხალიბი (რუსთ.)	20	13	4	3	40-19	43
კახეთი (თელავი)	20	12	2	6	36-24	38
ასს (თბ.)	20	11	1	8	42-31	34
35-ე სკ.-3 (თბ.)	20	10	2	8	36-37	32
35-ე სკ.-2-კოდა (თბ.)	20	9	5	6	55-39	32
ლოკომოტივი (თბ.)	20	10	1	9	41-35	31
იბერი (თბ.)	19	8	2	9	44-42	26
კასპი (კასპი)	20	8	1	11	39-56	25
დინამო-2 (თბ.)	19	7	1	11	35-53	22
ივერია (ხაშური)	19	6	1	12	33-52	19
მერანი (თბ.)	20	5	3	12	25-45	18
კოდაკო (თბილისი)	20	3	1	16	14-64	10
შევარდენი (თბ.)	20	2	3	15	29-68	9
ფოლადი (რუსთავი)	20	1	2	17	15-86	5
თელეთი (თელეთი)	20	1	1	18	18-94	4

დასავლეთის ზონა ● XIV ტური

კოლხეთი (ფოთი) — ოდიში (ზუგდიდი) 0-0, ოქროს საწმისი (ქუთაისი) — ოლიმპია (ხობი) 5-3, ფინტი (ურეკი) — ტორპედო (ქუთაისი) 0-2, განათლება (ბათუმი) — დინამო (ბათუმი) 1-1, ენგური (ჯვარი) — ლოკომოტივი (სამტრედია) 0-0, იმედი (ქუთაისი) — შევარდენი (სოხუმი) 3-0.

მინი-ფეხბურთი

პარლამენტის თასზე

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის დარბაზში პარლამენტის განათლების მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის, სპორტის, სპორტის ქვეკომიტეტისა და აგრეთვე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ინიციატივით მიმდინარეობს მინიფეხბურთელთა ტურნირი პარლამენტის თასზე. ორგანიზატორებს გადაწყვეტილი აქვთ შეჯიბრებების სისტემატური მოწყობა. სსპარეზობაში თავდაპირველად 18 გუნდი მონაწილეობდა და დაყოფილნი იყვნენ ოთხ ქვეჯგუფად. I ქვეჯგუფში იმარჯვეს სამთავრობო დაცვამ და კონტროლის პალატის გუნდებმა, II ქვეჯგუფში — ჯანდაცვის სამინისტრომ და აფხაზეთმა, III ქვეჯგუფში — სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ. IV ქვეჯგუფში — ფინანსთა სამინისტრომ და რკინიგზის სამმართველომ.

ამრიგად, მეოთხედფინალში დაწყვილდნენ: სამთავრობო დაცვა — შსს, კონტროლის პალატა — სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, ჯანდაცვის სამინისტრო — რკინიგზის სამმართველო, ფინანსთა სამინისტრო — აფხაზეთი.

P.S. აღსანიშნავია, რომ შეხვედრები პარლამენტის თასზე საინტერესო, დაძაბულ ორთაბრძოლებში ტარდება, მაყურებელიც არ აკლია. მართლაც, ინტერესს მოკლებული არ იქნება, მოქმედ ფეხბურთელებთან ერთად იხილოთ საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი — გია კობახიძე, პარლამენტის წევრები: მანუჩარ მაჩაიძე, გია გვაზავა, ვალერი გიორგობიანი და სხვანი.

გოგა ლომიძე

UEFA SUPER CUP

ევროპის სუპერთასი — „ბარსელონას"

დორტმუნდი (გერმანია) — ბარსელონა (ესპანეთი) 1-1

დორტმუნდი: **კლოსი, ბინცი, ფროინდი (მენერტი), კოლეხი (კიროვსკი), შნაიდერი, კრეე, ჰაინრიხი, რიკენი, დეშეიფერი, ცორკი, შაპიუზა (გამბო).**

ბარსელონა: **ჰესპი, ფერერი, ბოგარდი, ნადალი, სერხი, სელადესი (ამორი), ლუის ენრიკე (ჩირიჩი), ფიგუ, ჯოვანი, რივალდო, ანდერსონი (ოსკარი).**

გოლები: **0-1 ჯოვანი (8), 1-1 ჰაინრიხი (64)**

მას შემდეგ, რაც პირველი მატჩი კატალონიელებმა შინ ხელსაყრელი ანგარიშით 2-0 მოიგეს და თამაშის ხარისხით აშკარად სჯობდნენ მეტოქეს, ბევრმა სპეციალისტმა საქმე მოთავებულად ჩათვალა და საერთო წარმატებას ესპანელებს უწინასწარმეტყველებდა. ასეც მოხდა — სხვადასხვა ტიტულით დაბუნძლულმა „ბარსელონამ" ჰოლანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა ლუის ვან გალმა ახალ კლუბთან ერთად პირველი ჯილდო მიითვალა — ევროპის სუპერთასი.

გერმანელებმა მატჩი ძალიან უსუსურად დაიწყეს, ხშირად ცდებოდნენ დაცვაში და აკი ერთ-ერთი ასეთი მათთვის ტრაგიკულად დამთავრდა: ბრაზილიელი ჯოვანი შეკარე კლოსთან პირისპირ დარჩა და თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა. ამის შემდეგ ნათელი გახდა, რომ გერმანელებს მხოლოდ სასწაული თუ იხსნიდა. მართალია, შემდგომში მასპინძლებმა საგრძნობლად გამოასწორეს მდგომარეობა და მეორე ტაიმში ანგარიშიც გაათანაბრეს, მაგრამ ეს იყო და ეს.

FRANCE 98



...ДАМТАВРДЕБА ...ЕМПІОНАТІ ДА ...АДАВДГЕБІ — ...ЦХАДЕБს ЕМЕ ШАКЕ

...ამ ქვეყანაზე მუდმივი არაფერია, ...ოთ უმეტეს მწვრთნელის პოსტზე რომ ...შობ. ადრე თუ გვიან, მაინც უნდა ...ვიდე. კარგია, როცა საკუთარი სუ...ვილით გადადგები და არ დაელოდე... მომენტს, კარებისაკენ რომ მიგითი...ებენ. 57 წლის საფრანგეთის ერო...ული ნაკრების მთავარმა მწვრთნე...მა ემე ჟაკემ გუნდიდან წასვლის თა...ღი უკვე დაასახელა: „13 ივლისს, ...ოფლიო ჩემპიონატის დამთავრების ...ორე დღესვე მწვრთნელის სასტვენს ...ფისის შესასვლელთან დავკიდებ... ...ვრი მეკითხება, ვის ისურვებდი შე...ვლელადო. ვფიქრობ, საფრანგეთის ...კრებს ღირსეულად გაუძღვება ალენ ...ერესი — ოდესღაც დიდებული ფეხ...ურთელი და ამჟამად „ტულუზას" მთავარი მწვრთნელი."

...ალიან ...ვირია?

25 მარტს ბელფასტში უნდა შემდგარიყო ამხანაგური მატჩი ჩრდილო ირლანდიისა და კოლუმბიის ნაკრებებს შორის. მასპინძლებს ეს ევროპის მომავალი პირველობისათვის მოსამზადებლად სჭირდებოდათ, სამხრეთამერიკელებს კი — მსოფლიო პირველობისათვის. ახლა ცნობილი გახდა, რომ შეხვედრა არ შედგება. რატომ? როგორც გერმანული ჟურნალი „კიკერი" იუწყება, ჩრდილოირლანდიელებს ეძვირაო ჰონორარი (920 ათასი მარკა), რომელიც კოლუმბიელებმა ამ მატჩისათვის მოითხოვეს.

„მთავარია იმის შეგრძნება, რომ საუკეთესო ხარ"

„ფრანს ფუტბოლის" საკუთარი კორესპონდენტი გერმანიაში რაინერ კლაბი ესაუბრა ლოთარ მათეუსს. აი რამდენიმე საინტერესო ნაწყვეტი ამ ინტერვიუდან.

● *თქვენ გამარჯვებისაკენ სწრაფვის გრძნობა ბავშვობიდან დაგყვათ?*

– ბავშვობაში მაინცდამაინც არ მწყალობდა იღბალი ტანმორჩილობის გამო, როცა ფეხბურთის გუნდებს ადგენდნენ, ერთ-ერთ უკანასკნელს ამომირჩევდნენ. ჯიბის ფული რომ მქონოდა, გაზეთებს ვყიდდი, როცა სხვა ბავშვები დასასვენებლად მიჰყავდათ, მე მაინც ვირივით უნდა მემუშავა. ყოველთვის უნდა გავრჯილიყავ და იმაზე ცოტა მეტისათვის მიმეღწია, რაც მქონდა. არ ვიცოდი რა იყო პრივილეგია. პირიქით... ყოველივე ამან საბოლოოდ კეთილი სამსახური გამიწია. ჩემს მრავალრიცხოვან ტრავმებს რომ ვიგონებ, საკუთარ თავსვე ვეკითხები: ჩემს ადგილას ბევრ ფეხბურთელს ეყოფოდა ძალა და ნებისყოფა, თამაში რომ გაეგრძელებინა? ვიცი, ეს ცუდი კითხვაა. ამასთან, თანამედროვე მედიცინა ხომ სასწაულებს ახდენს. ცოდვას ვერ ჩავიდენ, ვერ ვიწუწუნებ.

● *რა შედის, თქვენი გაგებით, წარმატების ცნებაში?*

– მთავარია იმის შეგრძნება, რომ საუკეთესო ხარ. ეს უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. რაც შეეხება შემოსავალს, იგი გაცილებით უფრო ნაკლებად მაინტერესებდა. ბედნიერი ვარ, რომ მივსდევ ფეხბურთს, ამჟამად დედამიწაზე ყველაზე პოპულარულ სპორტის სახეობას. როგორც ცნობილია, სხვაგან ვარსკვლავები გაცილებით მეტ ფულს იღებენ, მაგრამ მათ არა აქვთ იმ სიამოვნების შეგრძნება, რასაც ფეხბურთში მოპოვებული გამარჯვებები იძლევა.

● *თქვენი კონტრაქტი თავდება, მაგრამ, როგორც ამბობენ, მის გაგრძელებას აპირებთ.*

– სანამ კარიერას დავამთავრებდე, მინდა მიუნხენის „ბაიერნში" კიდევ ერთი-ორი სეზონი გავატარო და კარიერა მაინცდამაინც აქ დავასრულო.

● *შემდეგ რაღას აპირებთ?*

– ძნელი სათქმელია. გულახდილად რომ გითხრათ, რაიმე კონკრეტული 2000 წლის შემდეგ არ დამიგეგმია. ვენდობი „ბაიერნსა" და მის ხელმძღვანელობას. თუკი ჩათვლიან, რომ თამაშის დამთავრების შემდეგ შეიძლება კლუბს ვემსახურო, აქვე დავრჩები, თუ არა და, რაიმე სხვას მოვნახავ.

● *„ბაიერნში" თქვენ კვლავ გეთათბირებიან სელექციის საკითხებზე?*

– კლუბში ხელმძღვანელი თანამდებობები ბეკენბაუერს, ჰაინესს, ტრაპატონისა და რუმენიგეს უკავიათ. მათ არ სჭირდებათ ამ საკითხში მოთამაშეთა დახმარება.

● *„ბაიერნი" ტრაპატონის ხელმძღვანელობით ისეთ კლუბს ჩამოგავს, რომელიც შემადგენლობის დადგენისას „მილანურ პრინციპს" იყენებს. კლუბს 20-22 დაახლოებით თანაბარი კლასის მოთამაშე ჰყავს. როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორია ეს მეთოდი?*

– გუნდი, რომელიც მთელი სეზონის მანძილზე ერთბაშად სამ ტურნირში გამოდის (ჩემპიონთა ლიგა, გერმანიის ჩემპიონატი და თასი), მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ ტრავმებისა და მოთამაშეთა ჯგუფის ნაკრებში გაწვევის შემთხვევაში ძალა არ დაკარგოს.. ისე რომ, თუ ჩვენ 18, ანდა, თუნდაც 22 მაღალი კლასის მოთამაშე გვყავს, ეს სულაც არაა „მილანის" მიბაძვა. ფეხბურთი იცვლება, უფრო დინამიური, უფრო ატლეტური ხდება. ამავე დროს იზრდება მატჩების რაოდენობა, რომელსაც წამყვანი კლუბები ატარებენ. ადამიანები ხომ მანქანები არ არიან, მათი ორგანიზმის შესაძლებლობები შეზღუდულია, მაგრამ ამაზე ცოტა ვინმე თუ ფიქრობს. ფეხბურთელები სულ უფრო ხშირად იმტვრევიან, ამას კი, მედიცინის დიდი მიღწევების მიუხედავად, ძალების აღდგენა სჭირდება.

● *თქვენ განაცხადეთ, რომ მზად ხართ ნაკრებში დაბრუნდეთ, სადაც უკვე რამდენიმე წელია აღარ გამოსულხართ, სწორედ ისე, როგორც ოლაფ ტონი დაბრუნდა. ნამდვილად ფიქრობთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატში გამოსვლას შეძლებდით?*

– უკვე დავგეგმე ჩემი საზაფხულო არდადეგები. საფრანგეთი არ შედის იმ ქვეყნების რიცხვში, სადაც გამგზავრებას ვაპირებ. თუ ჩემს ასაკსა და ტრავმებს გავითვალისწინებთ, მშვენივრად მესმის, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრისათვის კონკურენციის გაწევა გამიჭირდება. მათხოვარი კი არა ვარ, რომ ვინმეს მოწყალება ვთხოვო. მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ თუ ნაკრებს პრობლემები შეექმნება, სათანადო ფიზიკურ ფორმაში ვიქნები და ბერტი ფოგთსი გადაწყვეტს, შემიძლია თუ არა გუნდს დავეხმარო, მაშინ დიდი ხვეწნა-მუდარა აღარ დამჭირდება. მაგრამ ამას არ გავაკეთებ, რადგან ერთ-ერთი პირობა ჩემი ნაკრებში დაბრუნებისა ხომ მოთამაშეების ტრავმებთან არის დაკავშირებული.

● *თქვენ და ბერტი ფოგთსს არ გიყვარდათ ერთმანეთი.*

– ასე რომ იყოს, არ ვიტყოდი იმას, რაც წელან მოგახსენეთ. ჩვენ უთანხმოება გვქონდა ჩემი ნაკრებიდან გამოყვანასთან დაკავშირებით ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის წინ. ადრე კი საერთო ენას იოლად ვპოულობდით.

● *ნაკრებში გამოსვლის თვალსაზრისით რეკორდსმენი ხართ (122 მატჩი). იძულებით და მოულოდნელი გადადგომით კმაყოფილი ვერ დარჩებოდით.*

– ბერტი ფოგთსმა და გერმანიის ფეხბურთელთა კავშირის პრეზიდენტმა ეგიდიუს ბრაუნმა წინადადება მომცეს ჩამეტარებინა გამოსათხოვარი მატჩი, რომელიც დიდი ზარ-ზეიმით გაიმართებოდა, მაგრამ მაინც გადავწყვიტე რამდენიმე წელს მოვიცადო, სანამ საფეხბურთო კარიერას საბოლოოდ დავასრულებ.

● *მიონხენგლადბახში, მილანსა და მიუნხენში თამაშობდით. სად გრძნობთ თავს ყველაზე უკეთესად?*

– იქ, სადაც ვცხოვრობ. ამჟამად ეს არის კრანს მონტანა, შვეიცარიაში.

გერმანული პრესის მიხედვით მოამზადა ბიჭი ბამრეკელმა

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

...ანილიანცი იმედოვნებს

მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშების შემდეგ, როცა რვავე მატჩი წააგო, მოლდოვას ნაკრები ევროპული ფეხბურთის ფსკერზე აღმოჩნდა — უკან დასახევი გზა ცხადია, უკვე აღარ იყო. იონ კარასს გადადგომა მოუხდა. მისი შემცვლელი, ეროვნებით სომეხი 44 წლის ივან დანილიანცი ოდესღაც მცველად თამაშობდა აშხაბადში, შემდეგ მოსკოვის მწვრთნელთა სკოლა დაამთავრა, 6 წლის განმავლობაში მუშაობდა ავსტრიის 16-18 წლიანთა ნაკრებებში.

მოლდოველების ფსკერიდან ამოყვანა, მიმომხილველების აზრით, დანილიანცს ძალიან გაუჭირდება. ეტყობა, მაინც ლეგიონერებს უნდა დაეყრდნოს. თავდამსხმელი პოპოვიჩი ახლა ბუნდესლიგაში, „დუისბურგში". თამაშობს. 1997 წლის №1 მოთამაშე შოტლანდიაში ტესტიმიციანუ — ედინბურგის „ჰიბერნიანსში", თავდამსხმელი ჭელუშჩენკო — ინგლისის მესამე ლიგაში, ნაკრების კაპიტანი, ნახევარმცველი კურტიანუ კი ლოძის „ვიძევში".

...ისევ ...ეტერანები

თურქეთის ფეხბურთის მესვეურები აშკარად უკმაყოფილონი არიან. მათი ნაკრების მდგომარეობით და მოელიან, რომ ახლანდელი მთავარი მწვრთნელი მუსტაფა დენიზლი შეძლებს მდგომარეობის გამოსწორებას. საინტერესოა, რომ მუსტაფა დენიზლი, ჩინებულად ლაპარაკობს გერმანულად და რამდენიმე წლის წინათ გერმანიის ცნობილ კლუბს „ალემანიას" (ქ. აახენი) წვრთნიდა.

მომავალი ევროპის პირველობისათვის მოსამზადებლად დენიზლიმ დაგეგმა რამდენიმე ამხანაგური მატჩი. ჯერჯერობით ისევ ვეტერანების იმედი აქვს, ისეთებისა, როგორიც არიან მეკარე რუშ ტუ (სტამბოლის „ფენერბახჩე), მცველი ალფაი (სტამბოლის „ბეშიქთაში"), ცნობილი ნახევარმცველი, 33 წლის ოგუზი („ისტამბულსპორი"), 26 წლის თავდამსხმელი ჰაკან შუკური („ტრაბზონსპორი") და სხვები.

...ონტრაქტი ... სამი თვით

ახლა ხდება. თელ-ავივის „მაკაბის" ცნობილ მოთამაშეს 25 წლის ავი ნიმნს, ეროვნულ ნაკრებში 36 მატჩი აქვს ჩატარებული. იგი ძალიან კარგ ნახევარმცველად ითვლება, მაგრამ მადრიდის „ატლეტიკო" ერთბაშად მაინც არ ენდო და მხოლოდ ... სამთვიანი ხელშეკრულება გააფორმა მასთან. თუ ამ ხნის განმავლობაში ავი ნიმნი თავს გამოიჩენს, მაშინ კი...

...რუმინელები ბევრს ითამაშებენ

რუმინეთის ნაკრების ხელმძღვანელობამ აპრილსა და მაისისათვის ბევრი საკონტროლო მატჩი დაგეგმა. 8 აპრილს ნაკრები ზაგრებში ხორვატებს შეხვდება; 19 აპრილს ბუქარესტში კიდევ ერთ ნაკრებს მიიღებს ადრინდელი გეგმით, იგი არგენტინის ნაკრები უნდა ყოფილიყო, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული. 22 აპრილს რუმინელები ბრიუსელში ბელგიელებს შეხვდებიან, შემდეგ ზედიზედ სამი მატჩი ბუქარესტში გაიმართება. აქ ითამაშებენ ჩრდილო ირლანდიის (30 მაისს), პარაგვაისა (3 ივნისს) და შვეიცარიის (7 ივნისს) ნაკრებები.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

...ირანელებმა სხვას გვანაცვალეს

ქართველ გულშემატკივრებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ირანის საერთაშორისო ტურნირის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებამ — არ მიეწვია საქართველოს საფეხბურთო ნაკრები. „ლელო" დაინტერესდა, სახელდობრ, რომელი ქვეყნის საფეხბურთო ნაკრებები შეარჩიეს ირანელებმა. ჯერ შემადგენლობას გაგაცნობთ: მასპინძელთა ეროვნული ნაკრების გარდა თეირანს ჩავლენ უნგრეთის, იამაიკის და განას გუნდები. იამაიკა და განა, გასაგებია. ჯერ ერთი, ეს გუნდები ფიფა-კოკა-კოლას რეიტინგით საქართველოს ნაკრებზე მაღლა დგანან და ყოველი კონტინენტიდან თითო წარმომადგენლის ტურნირში ჩართვა უპრიანად მიგვაჩნია. აი, უნგრეთის შერჩევა კი ნამდვილად გაკვირვებას იწვევს. რეიტინგით ხომ ქართველები მადიარებზე მაღლა ვდგავართ? ასე რომ, ჯერჯერობით გაუგებარია ირანელთა ნაკრების ხორვატმა თავკაცმა რა პრინციპით დააყენა ჩვენზე წინ უნგრელები.

„ბაჯბაჯა" დანიისათვის ემზადება და არა „დინამოსათვის"

ჭორად რომ გავიგეთ, „ბაჯბაჯამ" ანუ როინ კერძევაძემ ისრაელის კლუბში გამოსვლა დაასრულა და თბილისში ჩამოვიდაო, უმალვე დიდმის ბაზას მივაშურეთ, თავად ფეხბურთელი მოვიხელთეთ. აი, რა გვითხრა როინმა: „ახლა, ტრავმამოშუშებული თავდაუზოგავად ვვარჯიშობ. მალე ალბათ, ერთ-ერთი დანიური კლუბიდან მოწვევა მომივა და სკანდინავიისაკენ ავიღებ გეზს. „დინამოში" დაბრუნებაზე კი ლაპარაკი არ ყოფილა".

სოჭში, სლავა მეტრეველის ხსოვნას ეძღვნება

ამ მატჩის გამართვის იდეა ჯერ კიდევ შარშან სახელგანთქმული ვეტერანი ფეხბურთელის სლავა მეტრეველის სიცოცხლეშივე დაიბადა. სოჭის ცენტრალურ სტადიონზე მის სპატივცემლოდ ამხანაგური საერთაშორისო მატჩი უნდა გამართულიყო ადგილობრივ „უემჩუჟინასა" და თბილისის „დინამოს" შორის. როგორც ამას წინათ, „ლელომ" შეგატყობინათ, ეს მატჩი ბოლოს და ბოლოს დაინიშნა 21 მარტისთვის. თბილისის „დინამოს" კლუბის ხელმძღვანელობისაგან გავიგეთ, მატჩის გამართვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს რუსული კლუბი თავის თავზე იღებს.

სოჭში გამგზავრებასთან დაკავშირებით, „დინამოს" საჩემპიონატო მატჩი 23 მარტის ნაცვლად 24-ში გაიმართება.

ანდრე აგასი: გემრიელი საჭმელი ჩემი სისუსტეა

ანდრე აგასის ამბიციები საქვეყნოდ ცნობილია. სპორტის გარდა, თურმე, მას ბევრი სისუსტე ჰქონია

ანდრე აგასი

● *ამას წინათ თქვით, რომ მსოფლიოს სულ ახალი ანდრე აგასი მოევლინა. რაიმე შეიცვალა თქვენს ცხოვრებაში?*

— შეიცვალა 90 გრადუსით. ცხოვრებისეული კონცეფცია. სერიოზულად ახლა ვიგრძენი, რომ ჩოგბურთი ჩემი პროფესიაა. ეს ცოტა სულელური ნათქვამია. ჯერ 26 წლის ვარ, ზოგჯერ 49 წლის ჯორჯ ფორმენივით ვგრძნობ თავს.

● *კვლავ უამრავ ჰამბურგერს და შოკოლადს მიირთმევთ? თქვენი კოლეგის მიხეილ შტიხის აზრით, წონაში მოიმატეთ და აქედან გამომდინარე, საშიში ალარა ხართ.*

— მართლა ასე თქვა? ტყუილია. ახლა უფრო ზომიერად ვჭამ, მაგრამ ანგელოზი არა ვარ. გემრიელი საჭმელი ჩემი სისუსტეა.

● *თმას კიდევ გაიზრდით?*

— არა. გრძელ თმას ბევრი მოვლა სჭირდება, რომ მცოდნოდა ეს დროს დამიზოგავდა, აქამდეც დავიმოკლებდი.

● *ვარცხნილობას საკუთარი სპონსორი „ნაიკი" გთავაზობთ?*

— სისულელეა. უბრალოდ, მინდოდა ჩემს თავში რაღაც სიახლე დამენახა. ეს იყო და ეს. სხვები ამას კუდებს აბავენ.

● *ჩოგბურთის დონე დაცემისკენ მიდიოდა, როცა თქვენ და სამპრასმა იხსენით სიტუაცია. თქვენი „დული" მუდამ ბრწყინვალე იყო. შემდგომ კი დათმეთ პოზიციები. ბეკერმა ადგილი წაგართვათ. ასეა?*

— ბორისი, ჩემი აზრით, ძველებურად ვერ თამაშობს, მაგრამ კვლავ ანგარიშგასაწევი ძალაა. პიტთან პაექრობაზე კი იმას ვიტყვი. რომ ფიზიკურად მოვიკოჭლე.

● *ხელახალ ნახტომს ვერ გააკეთებთ?*

— ალბათ ელით, რომ გეტყვით, ჩოგბურთის კოლორიტი ვარ-მეთქი, მაგრამ ცდებით, ჩემი კერპის, ჩემი მწვრთნელის ბრედ ჯილბერტის შეფასება მომწონს. ის ჩოგბურთის დაიონ სონდერსს მეძახის (სონდერსი ამერიკული ფეხბურთის და კეტბურთის ვარსკვლავია).

● *რა გაერთიანებთ დაიონ სონდერსთან?*

— დიდი ნიჭით დაჯილდოებულია. დაიონს ყველაფერი შეუძლია. მომხიბვლელია და არავისი ეშინია. სწორედ ამაში გვაქვს საერთო.

ილია ნანობაშვილი,
უცხოური პრესის მიხედვით.

ჭადრაკი

ფინიში ლინარესში

შეჯიბრება ლინარესში იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მას მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვსათვის მომავალი ღირსეული მეტოქე (ან მეტოქეები) უნდა შეერჩია. უნდა შეერჩია, მაგრამ ვერ შეარჩია...

რატომ?

იმიტომ, რომ 12 შესაძლებლიდან 7,5 ქულით (4 მოგება, 7 ყაიმი, ერთი წაგება — კასპაროვთან) გაიმარჯვა ინდოელმა ვიშვანათან ანანდმა, რომელსაც ფიდესთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, კასპაროვთან მსოფლიო პირველობაზე შეხვედრის უფლება... არა აქვს! ისე კი, მან დიდი ძალით წარმართა მთელი შეჯიბრება. თუ იანვარში ვეიკ-ან-ზეეში პირველ-მეორე ადგილები გაიყო ვლადიმირ კრამნიკთან, ახლა ერთპიროვნულად გაიმარჯვა.

დიდი მოულოდნელობა იყო ამჟამად ესპანეთში მცხოვრებ ალექსი შიროვის წარმატება. რეიტინგის თანახმად, ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი უნდა დაეკავებინა, ჯოფილ რიგელ პეტრე სვიდლერთან უკანასკნელისწინა ტურში დამარცხება რომ არა, პირველ პრიზს მოიპოვებდა. მან 7 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილზე გავიდა, რამდენიმე პარტია მშვენიერი კომბინაციებით დააგვირგვინა.

მეტისმეტად უფერულად ითამაშა მსოფლიო ჩემპიონმა. გარი კასპაროვმა. მან მხოლოდ ერთი პარტია მოიგო და დანარჩენი 11 (!) ყაიმით დასრულა და 6,5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილი გაიყო ვლადიმირ კრამნიკთან. თავი, ცხადია, ვერც კრამნიკმა ისახელა, რომელიც აშკარად ერიდებოდა ბრძოლას!

რა ხდება ქვეყანაზე

ცხოვრება გრაფივით?

გავიხსენოთ — სახელგანთქმული გერმანელი ჩოგბურთელი ქალის შტეფი გრაფის (რომელიც ხანგრძლივი იძულებითი „შესვენების" შემდეგ დაუბრუნდა აქტიურ სპორტს) შამას პეტერს მანჰაიმის მიწის სასამართლომ შარშან, იანვარში, სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მიზეზი გახლდათ დაბეგვრისაგან მოზრდილი თანხების გადაუხდელობა. მის „თანამოსაქმეს", საბეგარო მრჩეველს იოაქიმ ეკარდტს ორნახევარი წლით პატიმრობა ჰქონდა მოსახდელი და უკვე განთავისუფლებულია.

პეტერ გრაფი ულმაში იხდის სასჯელს. წინასწარი პატიმრობის გათვალისწინებით, აღკვეთის ვადის ნახევარი უკვე მოუხდია. მისი სახელით, თხოვნა ვადამდე განთავისუფლების თაობაზე უკვე შეუტანიათ შტეფი გრაფის ადვოკატებს. ქალაქ მანჰაიმის პროკურატურაში ფიქრობენ, რომ უახლოეს დროში ცოდვილ მამილოს გამოუშვებენ...

მეხიკოში კინგს არ სცნობენ

ცნობილი ამერიკელი პრომოუტერი, პროფესიონალ მოკრივეთა უველაზე პრესტიჟული ორთაბრძოლების თაოსანი დონ კინგი ამ დღეებში გაძარცვეს მექსიკის დედაქალაქში.

კინგს თავს დაესხა შეიარაღებულთა ჯგუფი, როცა იგი სასტუმროდან ავტოსადგომისაკენ გაეშურა თავის მანქანაში ჩასაჯდომად. მძარცველებმა წაართვეს ბრილიანტებით მოოჭვილი უძვირფასესი მაჯის საათი „როლექსი".

ამერიკელი პრომოუტერი მეხიკოსიტიში ჩავიდა მოკრივეთა შოუს მოსაწყობად, რომელიც კორიდის არენაზე შედგება. მექსიკელ კრივის ვარსკვლავებთან ხულიო სესარ ჩავესთან, რიკარდო „ფინიტო" ლოპესთან, მიგელ ანხელ „მაგო" გონსალესთან ერთად რინგზე გამოვა ნიკარაგუელი როსენდო ალივარესი.

ხულიო სესარ ჩავესმა გაძარცვული მენეჯერის დასაშოშმინებლად ფსონში ჩასული თანხით ნაყიდი სხვა საათი უბოძა, რომელიც ღირებულებით, მის საათთან ახლოსაც არ მივა.

მომენტალური ლატარიის „გოლი-98" მოყვარულთა საყურადღებოდ!

საფრანგეთში ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე რჩება **სამი თვე**.

იჩქარეთ, შეიძინეთ ლატარია „გოლი-98"-ის ბილეთები!

მომენტალურად შეგიძლიათ მოიგოთ:
- ახალი ავტომობილი „მერსედეს-ბენცი"
- მსუბუქი ავტომობილები „ვაზ 2105"
- საგზურები საფრანგეთში ფეხბურთის ჩემპიონატზე დასასწრებად.
- ფულადი მოგებები: 5, 50, 500 და 10.000 ლარი

მოგება 5 ლარის ჩათვლით გაიცემა ლატარიის

ბილეთების რეალიზაციის ადგილზე, დანარჩენი მოგებების განაღდება ხდება საქართველოს სპორტის ეროვნულ ფონდში. მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №40. ტელეფონები: 36-48-21, 38-90-74.

გისურვებთ წარმატებას!

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

25-26

3-17

11-21


3-21


39-46



თარაზულად: 3-5. „ტოტენჰემის" ფრანგი ფეხბურთელი, 8. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 14-15. ცნობილი რუსი მეკარე, ამჟამად სპორტული კომენტატორი, 20-21. არგენტინელი მცველი, 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 22-23 ინდოელი დიდოსტატი, 25-26. ესპანელი ჩოგბურთელი ქალი *(ფოტო)*, 27. ჩეხი ნახევარმცველი, 1976 წლის ევროპის ჩემპიონი, 28-29. ქართველი მძლეოსანი, ოლიმპიური ჩემპიონი. 30. „ფიორენტინას" არგენტინელი ფეხბურთელი, 32-33. ცნობილი უნგრელი საფეხბურთო მწვრთნელი, 34-35. წარსულში ცნობილი ბერძენი კალათბურთელი, 40-41, ცნობილი ქართველი მესტნდღური, 45-47. ოლიმპიური სტადიონი მეხიკოში, 50. ახლო წარსულში „მილანისა" და იტალიის საფეხბურთო ნაკრების ფორვარდი.

ვერტიკალურად: 1-26. წარსულში სახელგანთქმული რუსი ჰოკეისტი, თავდამსხმელი, 2-27. „ბარსელონას" ბულგარელი ფეხბურთელი, 3-17. ფრანგი ნახევარმცველი, 1984 წლის ევროპის ჩემპიონი *(ფოტო)*, 10-18. სატანვარჯიშო იარაღი, 11-21. გერმანელი მცველი, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი *(ფოტო)*, 12-22. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 14-40. იტალიელი მოფარიკავე, ოქროს 6 ოლიმპიური მედლის მფლობელი, 15-41. წარსულში ცნობილი სომეხი ფეხბურთელი, ამჟამად მწვრთნელი, 29. „ესპანიოლის" ფეხბურთელი „ფორვარდი". 30 რუსი ფეხბურთელი, მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონი, 33-43. „იუვენტუსის" ფორვარდი, 34-44. ინგლისის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ბომბარდირი, 37. იტალიელი თავდამსხმელი, 1968 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატში გამარჯვებული, 38. „დერბი ქაუნთის" იტალიელი ფეხბურთელი.

დიაგონალურად: 13-4. იაპონელი ტანმოვარჯიშე, მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 17-5. მსოფლიოს ორი საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა, 19-6. წარსულში სახელგანთქმული რუსი სიმაღლეზე მხტომელი, 3-21. 60-იანი წლების ბრაზილიელთა სახელგანთქმული საფეხბურთო მეკარე *(ფოტო)*, 9-16. წარსულში გამოჩენილი უნგრელი ფეხბურთელი, ფორვარდი, 8-18. გერმანელი ჩოგბურთელი ვაჟი, 7-24. ამერიკელი სპრინტერი ქალი, რომის ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონი, 22-10 „ბეტისის" და ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი, 31-48. გამოჩენილი იტალიელი წყალში მხტომელი. 37-47. მადრიდის „ატლეტიკოს" მეკარე, 39-46. „მილანის" გერმანელი ფეხბურთელი *(ფოტო)*, 45-33. მსაჯი, 34-52. არგენტინელი ნახევარმცველი, 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 49-36. ჭადრაკის ფიგურა, 50-38. ფეხბურთელის, ხელბურთელის, ჰოკეისტის ამპლუა, 51-42. „ფორმულა-1"-ის ტრაგიკულად დაღუპული ბრაზილიელი პილოტი.

შეადგინა ბიძინა წიბრძვაძემ (თბილისი)

ფინა ნომერში გამოქვეყნებული სოკერვორდის პასუხები:

ვერტიკალურად: 1. შტილიკე, 2. მაცოლა, 3. ალოფსი, 4. არკონადა, 7. ონოპკო, 8. ემპოლი, 10. შნელინგერი, 12. ნიკოლა, 13. ლუიჯი, 15. იანკერი, 16. კუნცი, 17. რიკენი, 19. აშვეთია.

თარაზულად: 5. ტარნატი, 6. ფუზერი, 9. ორლანდინი, 11. იკპება, 12. ნაპოლი, 14. ზემანი, 18. მარიო, 20. პიკი, 21. ბრეშია, 22. შტრუნცი, 23. რანი, 24. იეკინი, 25. ნიკიფოროვი.

პილიგრიმ ნინასნარეს გარიგებაში აკრზაური გაკეთებული

ფორმულა-1. ახალი ჩემპიონატის პირველი ეტაპის შედეგები „ლელოს" წინა ნომერში დაიბეჭდა. ავსტრალიის დიდ პრიზზე ბრიტანელმა პილოტმა კულჰარდმა ფინელი ჰაკინენი ზედ ფინიშთან წინ გაატარა და ჩემპიონის ტიტული აჩუქა — მრბოლები წინდაწინ მორიგებულან, თუ ვის უნდა გაემარჯვა, თუ კი ფინიშის სწორზე ასარჩევად ექნებოდათ საქმე.

ასეთმა გარიგებამ მსოფლიოს სხვადასხვა ტოტალიზატორში ზოგ მეფსონეს დიდი ფული მოუტანა, ზოგიც აზარალა, გაბითურებულები, ცხადია, სასტიკად აღშფოთდნენ. საქმე იქამდეც კი მივიდა, ავსტრალიის დიდი პრიზის შეფმა რონ უოკერმა ავტომობილიზმის საერთაშორისო ფედერაციაში (ფია) იჩივლა, მაგრამ ვერაფერს გახდა: ფია-მ უპასუხა: — ფორმულა-1 გუნდური სპორტია და პირად ინტერესებზე მაღლა კოლექტივისას რომ აყენებენ, ეს ამბავი ტრადიციულია. ამიტომ რბოლის შედეგის გაუქმების არც იურიდიული, არც მორალური უფლება არა გვაქვსო.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია თანაგრძნობას უცხადებს ამავე აკადემიის მრავალჭიდის კათედრის გამგეს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს შოთა ქველიაშვილს მამის

მიხეილ ქველიაშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა კომიტეტი თანაუგრძნობს საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარეს, ოლიმპიური თამაშების პრიზიორს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს შოთა ქველიაშვილს მამის

მიხეილ ქველიაშვილის

გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე